★ 2015 წლის 18 დეკემბერს ევროკომისიამ გამოაქვეყნა საბოლოო ანგარიში საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ, რომლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეებისათვის ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შემოღებისათვის საჭირო ყველა მოთხოვნა საქართველოს მთავრობის მიერ შესრულებულია.

ეს ნიშნავს იმას, რომ ევროკავშირის შესაბამისი ინსტიტუტების მიერ სამართლებრივი პროცედურების დასრულების შემდეგ საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს ბიომეტრიული პასპორტი, შეძლებს ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში უვიზოდ მოგზაურობას.

★ საქართველოს მოქალაქეებს უვიზოდ მოგზაურობა შეეძლებათ შენგენის ზონის ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს ევროკავშირის 22 წევრ ქვეყანას (გამონაკლისს წარმოადგენს დიდი ბრიტანეთი და ირლანდია) და ევროკავშირის 4 არაწევრ ქვეყანას. უვიზო მიმოსვლა იმოქმედებს, ასევე, შენგენის კანდიდატ 4 ქვეყანასთან:

ევროკავშირის წევრი ქვეყნები:

ავსტრია, ბელგია, გერმანია, დანია, ესპანეთი, ესტონეთი, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ჩეხეთი, შვედეთი, უნგრეთი, ფინეთი

ევროკავშირის არაწევრი ქვეყნები:

ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია, შვეიცარია

შენგენის კანდიდატი ქვეყნები:

ბულგარეთი, კვიპროსი, რუმინეთი, ხორვატია

უვიზო მიმოსვლა არ ეხება:

დიდ ბრიტანეთი, ირლანდია

ამ ორ ქვეყანაში გასამგზავრებლად ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შემოღების შემდეგაც უნდა მიმართოთ შესაბამის საკონსულო დაწესებულებას ვიზის მისაღებად.

★ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი:

ტელ.: (+995 32) 2 94 50 50
ელფოსტა: consulinfo@mfa.gov.ge
ვებგვერდი: **www.bit.ly/1Plerbm**

★ საზღვარგარეთ საქართველოს საელჩოები და საკონსულოები:
www.bit.ly/1QVFo5Y

★ შენგენის ვიზის ხანგრძლივობის ვებგამომთვლელი:
www.bit.ly/1RpK3iq

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

სახელმწიფო სერვისების განვითარების საგენტო

This project is funded by the European Union

ICMPD International Centre for Migration Policy Development

ENIGMMA Putting the pieces together to respond effectively to migration challenges

აუცილებელი ინფორმაცია ევროკავშირში უვიზოდ მიმოსვლის შესახებ!



უვიზოდ მოგზაურობის ხანგრძლივობა

- ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის პირობებში საქართველოს მოქალაქეებს ვიზის გარეშე შეუძლიათ გაემგზავრონ მხოლოდ მოკლევადიანი ვიზიტით ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში (იხ. ქვეყნების ჩამონათვალი გვ. 4).

- უვიზო მიმოსვლის რეჟიმი არ შეეხება გრძელვადიან ვიზიტებს, მაგალითად, უმაღლესი განათლების მიღების ან დასაქმების მიზნით! [1]

- მოკლევადიანი ვიზიტი გულისხმობს 90 დღეს ნებისმიერი 180 დღის განმავლობაში – ანუ ნებისმიერი 6 თვიდან მხოლოდ 3 თვეს.

  180 დღიდან 90 დაშვებული დღის გამოყენება შეიძლება გადაბმულად ან დღეების გადანაწილებით, მაგალითად, შემდეგნაირად:

90 დღე გადაბმულად

ან გადანაწილებით

- 90-დღიან პერიოდში შესაძლებელია მრავალჯერადი შესვლა ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე, მაგრამ საჭიროა, დარწმუნდეთ, რომ თქვენი ვიზიტის ხანგრძლივობა არ აღემატება ჯამში 90 დღეს უკანასკნელი 180 დღის განმავლობაში.

  რეკომენდებულია, ისარგებლოთ შენგენის ზონაში ყოფნის დასაშვები პერიოდის სპეციალური გამომთვლელით: **www.bit.ly/1RpK3iq**

[1] *ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე ხანგრძლივი პერიოდით გამგზავრების სურვილის შემთხვევაში, ისევ იმოქმედებს სავიზო რეჟიმი და საქართველოს მოქალაქეებმა ვიზის მისაღებად უნდა მიმართონ საქართველოში აკრედიტებულ შესაბამისი ქვეყნის საკონსულოს.*

უვიზო მიმოსვლის პირობებით გათვალისწინებული 90 დღის განმავლობაში მოკლევადიანი ვიზიტის მიზანი შესაძლებელია იყოს სხვადასხვა:

- ტურიზმი;
- ოჯახის წევრების/ნათესავების/ახლობლების მონახულება;
- საქმიანი შეხვედრების, მოლაპარაკებების გამართვა;
- საერთაშორისო სემინარებში, კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა თუ გამოფენებში მონაწილეობა;
- მოკლევადიან სასწავლო კურსებსა და ტრენინგებში, გაცვლით სასწავლო/სტაჟირების პროგრამებში მონაწილეობა;
- კულტურულ, სამეცნიერო და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა;
- სამედიცინო სერვისებით სარგებლობა - მოკლევადიანი სამკურნალო კურსი/ოპერაცია.

რა საბუთებია საჭირო უვიზოდ მგზავრობისათვის:

- მოქმედი ბიომეტრიული პასპორტი, რომლის მოქმედების ვადა საქართველოში დაბრუნების დღისთვის არ უნდა იყოს 6 თვეზე ნაკლები.

რა მოგეთხოვებათ ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლისას სასაზღვრო კონტროლის დროს:

- ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლისას სასაზღვრო სამსახურის წარმომადგენელი შეიძლება დაინტერესდეს, თუ რა არის თქვენი მგზავრობის კონკრეტული მიზანი (*მაგ.: საქმიანი ვიზიტი, ტურიზმი, მეგობრების ან ნათესავების მონახულება, სასწავლო კურსი 90 დღემდე ვადით*).

მგზავრობის მიზნის დასადასტურებლად სასაზღვრო სამსახურის წარმომადგენელს უფლება აქვს, მოითხოვოს შემდეგი საბუთები:

- საქართველოში უკან დასაბრუნებელი ბილეთი, სასტუმროს ჯავშანი, სამოგზაურო დაზღვევა, მოგზაურობის ფინანსური უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტი (*მაგ.: ნაღდი ფული, სამგზავრო ჩეკი, მოქმედი საბანკო ელექტრონული ბარათები*). [2]

[2] *სასტუმროს ჯავშნის არსებობისას ფინანსური უზრუნველყოფისთვის საჭირო თანხა, როგორც წესი, არ აღემატება დღეში 50 ევროს.*

გაითვალისწინეთ !

★ ***ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში ყოფნის 90 დღის (180 დღის განმავლობაში) ვადის გასვლამდე საქართველოს მოქალაქემ უნდა დატოვოს შენგენის ზონა!***

ამ ქვეყნებში 90 დღე გადაბმულად ყოფნის შემთხვევაში ხელახლა გამგზავრება შესაძლებელი იქნება შენგენის ზონის დატოვებიდან 90 დღის გასვლის შემდეგ.

★ ***უვიზო მიმოსვლა არ ნიშნავს ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში მუშაობის/ხანგრძლივი სწავლის უფლებას!***

★ ***ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე შესასვლელად საქართველოს მოქალაქე:***

- არ უნდა იყოს იმ პირთა სიაში, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საზოგადოებრივ წესრიგსა და ჯანმრთელობას ან შიდა უსაფრთხოებას;
- არ უნდა იყოს ნასამართლევი ევროკავშირის/შენგენის წევრ ნებისმიერ ქვეყანაში სისხლის სამართლის ისეთი დანაშაულისთვის, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 1 წელზე მეტი ვადით;

ასევე,

- არ უნდა არსებობდეს გადაწყვეტილება ევროკავშირის/შენგენის ქვეყნიდან მისი გაძევების შესახებ;
- არ უნდა არსებობდეს დანაშაულებრივ საქმიანობაში მისი მონაწილეობის ან ასეთი განზრახვის შესახებ უტყუარი მტკიცებულებები;

და

- არ უნდა იყოს იმ პირთა სიაში, რომელთაც აკრძალული აქვთ ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე შესვლა.

★ ***საქართველოს მოქალაქეები ვალდებულნი არიან, დაიცვან ადგილსამყოფელ ქვეყანაში შესვლისა და ყოფნის წესები, აგრეთვე, იმ ქვეყანაში მოქმედი სხვა კანონმდებლობა.***

- 90-დღიანი ვადის გადაცილების შემთხვევაში, ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე ყოფნა ჩაითვლება არალეგალურად. ასეთი პირი გაძევებული იქნება ქვეყნიდან და აეკრძალება ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლა 5 წლამდე ვადით;

  ალტერნატივის სახით, შესაძლოა, გამოყენებული იყოს ადმინისტრაციული ზომა - ჯარიმა 3,000 ევრომდე ოდენობით. ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, კანონდამრღვევს აეკრძალება შესვლა შესაბამის ქვეყანაში (ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე);

- ნებადართული ყოფნის პერიოდში სხვა სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქეს დაეკისრება შესაბამისი პასუხისმგებლობა ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, რის შემდეგაც გაძევებული იქნება ქვეყნიდან და აეკრძალება ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლა 5 წლამდე ვადით;

- ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში მუშაობა სამუშაო ნებართვის გარეშე ითვლება არალეგალურად, რასაც, ასევე, შესაძლოა, მოჰყვეს ქვეყნიდან გაძევება და ქვეყანაში შესვლის აკრძალვა.